N 25424-01
25/10/2016

25424-01-3-201610252243

მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №2

სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - ფინანსური დირექტორი - ბესიკ ჩიხლაძე;
სატენდერო კომისიის წევრი - ტექნიკური დირექტორი - ლევან მეხრიშვილი;
კომისიის წევრი, დირექტორი კონტროლის სფეროში - თამაზ მამულიშვილი;
კომისიის წევრი, ადმინისტრაციის უფროსი - თევდორე კარიაული;
კომისიის წევრი, იურიდიული სამსახურის უფროსი - თეა ედიშერაშვილი;
კომისიის წევრი, შესყიდვების სამსახურის უფროსი - არჩილ ზუმბულიძე;
კომისიის სხდომის მდივანი, აპარატის წევრი, შესყიდვების უფროსი მენეჯერი - ნინო ყანჩაველი.

სხდომას არ ესწრებოდა:
კომისიის თავმჯდომარე, გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე - ექსპლუატაციის დირექტორი.

დღის წესრიგი:
- ელექტრონული ტენდერის საშუალებით, **მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების (SPA160025375)** სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის - **შპს „ყვარელრემმშენის“ (ს/ნ 241563562)** მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:
- სატენდერო კომისიის აპარატის წევრის - ნინო ყანჩაველის ინფორმაცია, **მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის შედეგის შესახებ.

განიხილეს:
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის - **შპს „ყვარელრემმშენის“** მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია.

აღინიშნა:
- **მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების** ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა - **შპს „ყვარელრემმშენის“** სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი

ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა - **447’728 (ოთხას ორმოცდაშვიდი ათას შვიდას ოცდარვა)** ლარი.

- **მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის - **შპს „ყვარელრემმშენის“** მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია შეიცავს უზუსტობას და არ არის სრულყოფილი. კერძოდ,
  - დანართი №1-ში არ არის დაფიქსირებული შევსების თარიღი, პრეტენდენტის დასახელება, შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება როგორც ციფრებით, ასევე სიტყვიერად;
  - დანართი №1-ში, სამუშაოს ხარჯთაღრიცხვაში I თავის (სამშენებლო სამუშაოების) მე-6 გრაფა (მასალა) არ არის სწორად დაჯამებული. მე-6 გრაფის ჯამი შეადგენს - 222’347.10 ლარს, ნაცვლად დაფიქსირებული ჯამისა - 220’573.51 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მასალების ტრანსპორტირების ღირებულება (მასალების ღირებულების 5%) არ არის სწორად დაანგარიშებული.
  - რეკვიზიტები არ არის დანომრილი და დასათაურებული სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №4-ის შესაბამისად.
  - არ არის წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დანართი №2 (ტექნიკური დავალება) და დანართი №3 (სამუშაოს შესრულების ვადა და საგარანტიო პირობები).

კომისიამ დაადგინა:

- ტექნიკური დოკუმენტაციის სრულყოფილად განხილვის მიზნით, ეთხოვოს **შპს „ყვარელრემმშენს“** წარმოადგინოს დაზუსტებული დოკუმენტაცია:
  - დანართები №1 და №4, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით. ამასთან, დანართი №1 წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით დაფიქსირებული ფასის შესაბამისად;
  - დანართი №2 (ტექნიკური დავალება) და დანართი №3 (სამუშაოს შესრულების ვადა და საგარანტიო პირობები), სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დანართების შესაბამისად;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, **შპს „ყვარელრემმშენს“** დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადად, განესაზღვროს **3 (სამი)** სამუშაო დღე, არაუგვიანეს 2016 წლის 28 ოქტომბრისა.
- დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, **შპს „ყვარელრემმშენის“** სახელზე გასაგზავნი წერილის პროექტის მომზადება.

არჩილ ზუმბულიძე

სამსახურის უფროსი

შესყიდვების სამსახური

თამაზ მამულიშვილი



დირექტორი კონტროლის სფეროში

თბილისის სატრანსპორტო კომპანია

თევდორე კარიაული



ადმინისტრაციის უფროსი

ადმინისტრაცია

ლევან მეხრიშვილი



ტექნიკური დირექტორი

თბილისის სატრანსპორტო კომპანია

ბესიკ ჩიხლაძე

ფინანსური დირექტორი

თბილისის სატრანსპორტო კომპანია

თეა ედიშერაშვილი

სამსახურის უფროსი

იურიდიული სამსახური

ნინო ყანჩაველი

შესყიდვების უფროსი მენეჯერი

შესყიდვების ორგანიზების და ანგარიშგების განყოფილება